საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდის შედეგები

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდები დასრულდა.

მოქალაქეებს 8 მუნიციპალიტეტში გახსნილი საგამოცდო ცენტრები მოემსახურა. გამოცდის ჩაბარების მსურველებს საშუალება ჰქონდათ აერჩიათ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მოქმედი საგამოცდო ცენტრი: თელავი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა.

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნებისთვის, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგამოცდო ტესტების თარგმნა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენებზე. გამოცდა ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულ ენებზე ჩატარდა.

გამოცდაზე ჯამურად რეგისტრირებული 1689 მოქალაქიდან საგამოცდო ცენტრებში 1266 გამოსაცდელი გამოცხადდა. გამოცდის ჩაბარების შედეგების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიკატი 1245-მა პირმა მიიღო (ქალი-536; კაცი-709). საგამოცდო ცენტრების მიხედვით დამუშავებული დეტალური სტატისტიკა ხელმისაწვდომია ბმულზე.

გამოცდის მიმდინარეობას ყველა საგამოცდო ცენტრში აკვირდებოდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდები, მიმდინარე წლის 29 იანვრიდან 5 თებერვლის ჩათვლით პერიოდში, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან თანამშრომლობით, განახორციელა.

19 თებერვლიდან გათვალისწინებულია საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სერტიფიცირების გამოცდების ჩატარება (რეგისტრაციის წესი და გამოცდის შესახებ სხვა დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე).

2024 წლის 29 იანვარი - 5 თებერვლის პერიოდში გამართული საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდის დეტალური სტატისტიკა

N	საგამოცდო ცენტრის დასახელება	გამოცდაზე დარეგისტრირებულ პირთა რაოდენობა	გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა	პირთა რაოდენობა, ვინც გამოცდა წარმატებით ჩააბარა
1	თელავის საგამოცდო ცენტრი	110	87	86
2	ბოლნისის საგამოცდო ცენტრი	360	240	239
3	მარნეულის საგამოცდო ცენტრი	447	331	322
4	გარდაბნის საგამოცდო ცენტრი	149	103	101
5	თეთრიწყაროს საგამოცდო ცენტრი	100	73	73
6	ახალციხის საგამოცდო ცენტრი	48	36	34
7	ახალქალაქის საგამოცდო ცენტრი	295	258	254
8	ნინოწმინდას საგამოცდო ცენტრი	180	138	136